



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 205  
07/04/2017

ბრძანება

205-09-4-201704071039



**დაბა ხულოში წერეთლის ქუჩა №11-ში არსებული საზოგადოებრივი  
დანაშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო  
პროექტის შეთანხმების შესახებ**

უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების მცხოვრე თემურ სოლომონიძის №10824/09 განცხადების საფუძველზე გაგრძელდა ადმინისტრაციული წარმოება, დაბა ხულოში წერეთლის ქუჩა №11-ში არსებული საზოგადოებრივი დანაშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების თაობაზე.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-X-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და შეთანხმდეს დაბა ხულოში წერეთლის ქუჩა №11-ში არსებული საზოგადოებრივი დანაშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-X-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლაძის 2017 წლის 30

მარტის N897-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

- 1) შეთანხმდეს დაბა ხულოში წერეთლის ქუჩა №11-ში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი.
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე ([www.khulo.ge](http://www.khulo.ge)) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა